№ 273 — მთავრობის ორგანო — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. ოთხშაბათი, დეკემბრის 1 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ზარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—89.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

ოთხშაბათს 1 დეკემბერს ბავშვთა და დედათა დაცვის საზოგადოების სასარგებლოდ

„სიმფონიური კონცერტი“

ბოროვსკი და ბელოუსოვის მონაწილ. ხუთშაბათს 2 დეკემბერს მ. მორდკინის საბალეტო წარმოდგენა „ჟიზელი“, პარასკევს 3 დეკემბერს ქართულ ენაზე ოპერა „ლალატი“.

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

1002 1—1

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8.07)

ხუთშაბათს, დეკემბრის 2-ს მეორეჯერ

„ზღვასთან“

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისერი მ. ქორელი.

შაბათს, დეკემბრის 4-ს პირველად ქართულ ენაზე ორიგინალური ტრაღედია

„მერდო-ზმანია“ ალ. შანშიაშვილისა.

ახალი დეკორაციები ტანისამოსი მხატვ. ვალ. სიდამონ-ერისთავისა.

მუსიკა დ. არაყიშვილისა. ბალეტი და ხორო.

რეჟისორი ალ. ახმეტელი.

ბილეთები კასაში.

1012 2—1

ტფილისის მერვე საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს, რომ დეკემბრის 6-ს ამა 1920 წ. 2 ს. საზოგადოების კონტორაში

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

დარჩენილი გამოუსყიდავი და დაზიანებული ბეწვეული, ქუდები და უბის წიგნაკები.

400 2—1

აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიას მთავარი კონტორა

აცხადებს,

რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს მიერ მოცემული მოწმობით,

(8 ნოემბერს 1920 წ. № 2180),

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნებართვით და 1913 წლის გამოც. კანონთა კრებულის მე-II-რე ტომ. მეორე ნაწილის 127, 129, 132 და 135 მუხ. თანახმად მას,

აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიას

მიეცა ნება, მხოლოდ მან ისარგებლოს 20 წლის განმავლობაში ტფილისში მის მიერ კუთვნილი საპნის ქარხნის, ამასთანავე დართულ საქონლის ნიშნით.

მთავარი კონტორის გამგე ქ. ხ. ამირეჯიბი.

1010 2—1

ქუთაისის რეალური სასწავლებლის სამეურნეო კომიტეტი

აცხადებს,

რომ კვირას, დეკემბრის 5-ს დილის 11 საათზე

სასწავლებლის შენობაში საჯარო შეჯიბრებით გაიყიდება წყალსადენის ძველი მილები და კიბის ქვები.

1009 1—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგისა.

29 ნოემბერი, 1920 წ., № 471.

ინიშნება: სახელმწიფო კონტროლის შიკრიკად ალექსანდრე ვლასის ძე ვეპრიცკი ა. წ. 29 ნოემბრიდან.

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი
ქ. ანდრონიკაშვილი.

—

გზა-ტკეცილების და წყლით სავალ გზების სამმართველოს უფროსისა.

18 ნოემბერი, 1920 წ., № 373.

უცხადებ: შენიშვნას მე-5 დისტანციის გზის ოსტატს ტექნიკოს არეშიძეს, მის მიერ დაშვებულ ტექნიკურ წესების გვერდის ახვევისათვის მუშაობის წარმოების დროს.

№ 374.

უცხადებ: სასტიკ საყვედურს მე-5 და მე-6 დისტანციების მიწერ-მოწერის გამგეს საყვარელიძეს არა სწორი ცნობების მოწოდებისათვის სამმართველოში.

№ 376.

დაშვებულ იქმნას: დროებით ტექნიკოსის მოვალეობის აღმასრულებლად სამმართველოს ტექნიკურ განყოფილების მხაზველი ქ. ოლევსკი და ამავე განყოფილების კანტორის მოხელე ვ. ეპიტაშვილი.

№ 378.

ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოს კანცელარიის მმართველი იურის-კონსულტი არტურ სტანისლავის ძე როლკე იგზავნება მივლინებაში სამსახურის საქმეებისა გამო ქ. ბათომში ა. წ. 22 ნოემბრიდან,

კანცელარიის მმართველის მოვალეობის ასრულება დროებით ევალება კანცელარიის მმართველის თანაშემწის მოვალეობის დროებით აღასრულებელ ორესტი პროხორეს ძე იოსავას ა. წ. 22 ნოემბრიდან.

№ 379.

ამით ცხადდება ცნობად და საყოველთაო საყურადღებოთ ბრძანება გზათა დეპარტამენტისადმი ა. წ. 12 ნოემბრის თარიღით № 117.

1) განთავისუფლებულია დროებით 10 ნოემბრიდან თანამდებობისაგან მთავრობის გარაჟის უფროსი ავქსენტი გვათუა გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ საზღვარ გარედ დიპლომატიურ შიკრიკად გაგზავნის გამო.

2) **ინიშნება** დროებით 10 ამა ნოემბრიდან მთავრობის გარაჟის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად მთავრობის გარაჟის უფროსი ოსტატი მალაქია ნატბელაძე.

სამმართველოს უფროსი,
ინჟინერი ნ. კორინთელი.

—

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს უფროსისა.

6 ნოემბერი, 1920 წ., № 58.

გამწესებულნი არიან: კანდიდატი აკაკი ლექვინაძე ზედამხედველად დაბალი ჯამაგირით ალავერდში, ყოფილი ფოსტალიონი თეოფანე სტურუა მეორე კატეგორიის ფოსტალიონად არტანუჯში; კანდიდატები: სალომე მცხვეთარიძე, ნინო თავზარაშვილი ართა ჯოლოგუა და აკაკი კარანაძე მეექვსე ხარისხის მოხელეებათ: მცხვეთარიძე—ეკატერინოვკაში, კარანაძე—გაგრაში, თავზარაშვილი და ჯოლოგუა ქუთაისის ტელეფონის ქსელზე, ლექვინაძე, სტურუა, მცხვეთარიძე 11 ნოემბრიდან. კარანაძე 16 ნოემბრიდან თავზარაშვილი და ჯოლოგუა 1 ნოემბრიდან.

დანიშნულნი არიან: მოხელეები. ტფილისის ტელეგრაფის კანტორის ნინო ივანოვი და სოხუმის გიორგი მეტრეველი და ალექსანდრე მიმინოშვილი მე IV ხარისხის მოხელეებათ. დიდი-ვანის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი სიმონ ბისტრინი IV ხარისხის მოხელეთ ბათომში, ტფილისის ფოსტის კანტორის III ხარისხის მოხელე აბრამ ბერძენიშვილი მე-II ხარისხით ტფილისის ტელეფონის ქსელზე გაგრის მე-IV ხარისხის მოხელე გრიგოლ მქავანაძე დიდივანის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსად. მეტრეველი და მიმინოშვილი I ნოემბრიდან, ივანოვი და ბერძენიშვილი 16 ნოემბრიდან, ბისტრინი და მქავანაძე 6 ნოებრიდან.

გადაყვანილნი არიან იმავე წოდებით: ქრებალის ზედამხედველი დაბალი ჯამაგირით გრიგოლ შენგელია ქუთაისში, ბათომის 2 ხარისხის მოხელე პეტრე ასლანოვი ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, სოხუმის ვასილ სოსელია—პილენკოვში, ეკატერინოვკის 6 ხარისხის ნინო ხახანაშვილი—რატმანოვისა გორში, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის V ხარისხის მოხელე ქალი ნინო გივიშვილი და ტფილისის პირველ განყოფილების II ხარისხის მოხელე ქალი მარიამ ხოშტარია ერთი მეორის ადგილზე. ფოსტალიონები: სოხუმის გრიგოლ კალანდია და ოჩემჩირის პორფირე ჯობავა ერთი მეორის ადგილზე. შენგელია, კალანდია და ჯობავა 6 ნოემბრიდან, ასლანოვი და ხახანაშვილი-რატმანოვისა 1 ნოებრიდან, სოსელია, ხოშტარია და გივიშვილი 11 ნოემბრიდან. სოსელია სამსახურის სასარგებლოთ, დანარჩენნი თანახმად თხოვნისა.

დათხოვნილი არიან სამსახურიდან: გორის ფოსტალიონი აკაკი ლეჟავა, ტფილისის ფოსტის კანტორის მე-3 ხარისხის მოხელე ქალი ლიუდმილა ასათიანი, პილენკოვის V ხარისხის დიმიტრი უტკინი, შორაპნის IV ხარისხის გიორგი სამნიაშვილი. ლეჟავა 6 ნოემბრიდან, ასათიანი 1 დეკემბრიდან, უტკინი 11 ნოემბრიდან და სამნიაშვილი 21 ოქტომბრიდან. უტკინი შტატების შემცირების გამო, დანარჩენნი თანახმად თხოვნისა.

სამმართველოს უფროსი მგელაძე.

არა ოფიციალური განყოფილება.

მთავრობაში.

მთავრობის თავმჯდომარემ კინტრიშის თემის საერთო ყრილობისაგან მისასალმებელი დეპეშა მიიღო. საერთო კრება გამოსთქვამს სურვილს თავისი ძალა და სიცოცხლე შესწიროს საჭიროების დროს საქართველოს რესპუბლიკის კეთილდღეობას. ამასთანავე ყრილობა იმედოვნებს, რომ ბათომის ოლქში მოკლე დროში შემოღებული იქნება ავტონომიური მართვა-გამგეობა.

— მთავრობამ შემდეგი მისალმება მიიღო: იუსტიციის სამინისტროს სადარაჯო ბათალიონი თავის წლიურ დღესასწაულის დღეს მიესალმება მთავრობის თავმჯდომარეს და უსურვებს მას მრავალჟამიერ სიცოცხლეს დემოკრატიულ რესპუბლიკის საკეთილდღეოდ.

ფინანსთა სამინისტროში

ფინანსთა სამინისტროს დასკვნისათვის წარედგინა გზათა დეპარტამენტის დირექტორის განმარტებითი ბარათი საზღვარ გარედ საქართველოს რკ. გზ. საჭირო მასალების შესაძენად სათანადო თანხის გადადების შესახებ. მასალები უკვე დაკვეთილი აქვს გერმანიის ერთ-ერთ სხვილ ფირმას. შეკვეთილია უმთავრესად ვესტინგაუზის საჭერი, ელექტრიული და ორთქლმავლისათვის საჭირო მასალები.

— ფინანსთა სამინისტროში აღიძრა შუამდგომლობა „საქართველო ჰოლანდიის საზღვაო საზოგადოების“ დაარსების შესახებ. ამ საზოგადოებას მიზნათ აქვს მოაწყოს გემე-

ბით მიმოსვლა საქართველოსა, სტამბოლსა და აგრეთვე ჩრდილოეთ ევროპის შორის, ამ საზოგადოებას აწყობს საქართველოს მხრივ უმთავრესად საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება და ჰოლანდიის მხრივ კი ჰოლანდიის საზღვაო საზოგადოების დირექტორი.

ტეხნიკური კომიტეტის მექანიკურ საალმშენებლო განყოფილებაში მოისმინეს მოხსენება ქაღალდისა და ცელულოზისა და სხვ. გასაკეთებლად სოკოლინის ქარხნის მოწყობის შესახებ. საგანგებო მოხსენება ამ საკითხის შესახებ წარმოუდგინეს ფინანსთა სამინისტროს მწარმოებლებმა სტამბოლში არსებულ საქართველოს საელჩოს წარმომადგენლის ხელით. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მრეწველ როზენკრანცს სურს საქართველოში გახსნას „სოკოლინის“ სისტემის ქარხანა, სადაც გააკეთებენ ტომრებს, კედს, ბაწრებს, ტილოებს, ტანისამოს და სხ. ამ წარმოების უმთავრეს ცენტრს კი წარმოადგენს ქაღალდი. წინასწარი მუშაობის გასაწევად როზენკრანცი წინადადებას აძლევდა ფინანსთა სამინისტროს რომ მას ბერლინში მყოფ საქართველოს წარმომადგენლობასთან მოეწყო ფინანსიურ-ტეხნიკურ კომისიის ბიურო. მოხსენებაში აღნიშნულია შემოსავალ გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა, საიდანაც სჩანს, რომ ქარხანას პირველ წელსავე საკმაოდ დიდი შემოსავალი ექნება. განყოფილების მოხსენებაზე აღნიშნეს, რომ მწარმოებელს არ წარმოუდგენია ყველა საჭირო ცნობა, მაგრამ მიუხედავათ ამისა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ქაღალდის ქარხნის მოწყობა საქართველოში. ამისათვის საჭირო ნედლი მასალა ჩვენში საკმაოდ მოიძებნება. თვით წარმოების მოწყობა არც ისე დიდ სიძნელეს წარმოადგენს, რადგანაც საქართველოში მოიძებნებიან ამ დარგის სპეციალისტები. მიღეს შემდეგი რეზოლიუცია: 1) როზენკრანცის წინადადება უარყონ, 2) აუცილებელ საჭიროებად აღიარონ საქართველოში ქაღალდის ქარხნის მოწყობა, 3) იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა პრინციპიალურად თანახმა იქნება ქაღალდის წარმოების საქმის მოწყობისა, მიენდოს ტეხნიკურ კომიტეტს ამ საკითხის შემუშავება და ქაღალდის ქარხნისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვის შემუშავება.

მიწად-მოქმედების სამინისტროში

—მიწად-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილების ცნობით ახალქალაქის მაზრაში გადასახლებული ყოფილა 185 კომლი. ამ ჟამად იქ გადასახლებულა კიდევ 100 კომლი, უმთავრესად მოხევეები ყაზბეგის რაიონიდან. გადასახლებულთათვის უკვე გაუგზავნიათ 3 ვაგონი სათესი მასალა. სათესი ხორბალი კვლავ იგზავნება.

— ყარაიაზის რაიონში გადასახლებული იყო 200 კომლი, უმთავრესად იმერლები. ამ ჟამად გადასახლებულთა რიცხვი კიდევ 60 კომლით გაიზარდა.

— მიწად-მოქმედების სამინისტროს ცნობით ყარაიაზში გაგზავნილ მალარიასთან მებრძოლ ექსპედიციას დაუმთავრებია ავადმყოფთა მორჩენის საქმე და ამ ჟამად ამუშავებს საჭირო მასალებს, რაიცა მოკლე დროში გამოქვეყნდება.

უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობები).

ლენინის ხაიდუმლო აგენტი.

„ტანი“ აქვეყნებს ლონდონიდან მოსულ დეპეშას ლონდონის პოლიციის მიერ ლენინის ფარული აგენტის დაპატიმრების შესახებ. ეს აგენტი დააპატიმრეს ქუჩაზე; დაკითხვის დროს მან უარი განაცხადა თავის საბუთების წარდგენაზე. მას წაუყენეს შემდეგი ბრალდებანი:

1) რომ მან დაარღვია კანონი უცხოელთა რეგისტრაციისა და 2) სამეფო პოლიციის კითხვებზე პასუხი არ გასცა. სასამართლოში გამოაქვეყნეს დაპატიმრებულისათვის ნაპოვნი წერილები, რომლებიც ამტკიცებდა, რომ დაპატიმრებული ეკუთვნოდა იმ ორგანიზაციას, რომელსაც მიზნად დაუსახავს საბჭოთა რუსეთიდან ინგლისში გადატანა სარევოლიუციო ლიტერატურისა. წერილთა შორის აღმოაჩინეს სილვია პანკჰერსტისადმი მიწერილი ბარათი.

ცხოვრების გაიაფება.

„ლანტანტი“ იუწყება: მიუხედავად გაფიცვისა ლონდონში ცხოვრება თანდათან იაფდება. შაქარი გაიაფდა 2 პენსით, თევზეულობა 4—6 პენსამდე, 12 კვერცხი 5—6 შილინგამდე ღირს.

ამერიკა და იაპონია.

ამერიკის პრესა იუწყება იაპონია ამერიკის მომავალ შეთანხმების შესახებ. ეს შეთანხმება იაპონელების ამერიკაში გადასახლებას შეეხება.

ეკონომიის გასაუმჯობესებლად.

მთავრობას დასახული აქვს შემდეგი ზომები ცხოვრების გასაიაფებლად: ხელის შეწყობა წინეთ აკრძალულ გაყინულ ხორცისა და თევზეულობის შემოტანისათვის, ფართო ორგანიზაცია რძის, კარაქის, ყველისა და კარტოფილის შემოტანისა და ახალგაზრდა საქონლის დაკვლის წინააღმდეგ აკრძალვითი ზომების მიღება.

ეკონომიური სიცალიერე.

იტალიის პრესა აღნიშნავს: მოსკოვის დიდი იმპერიის განადგურებამ ევროპაში შექმნა ერთგვარი ეკონომიური „სიცალიერე“, რომელიც ძველი და ახალი ქვეყნის ეკონომიურ წონასწორობას არღვევს. სანამ ეს სიცალიერე თუნდა ნაწილობრივ მაინც არ იქნა შევსებული ევროპისა და აზიის ცხოვრება სავსებით ვერ აღსდგება. ძველი რუსეთის დამხობის ჟამს ევროპამ დაჰკარგა დიდძალი ფული, რაც რა თქმა უნდა, ბლოკადით არ შეიძლება დაბრუნებულ იქმნას. პირიქით, ევროპამ ხელი უნდა შეუწყოს ახალი რუსეთის შექმნას მის ეთნოგრაფიულ საზღვრებში; მაგრამ ფაქტიურად ანტანტა ხელს უშლის რუსეთის აღორძინებას. ბალტიის სახელმწიფოთა დახმარებით ინგლისმა რუსეთი მოაშორა ზღვას. რუსეთი მოწყვეტილია აგრეთვე შავისა და ხმელთა შუა ზღვებისაგან. ამგვარი პირობები ცხადად ხელს შეუშლის ქვეყნის აღორძინებას. ანტანტის პოლიტიკა რუსეთისათვის უფრო ხელისშემწყობი უნდა იყოს.

საბჭოთა რუსეთში

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობები).

თეთრ-გვარდიელების დამარცხების გამო.

ესერების „ნაროდნოე დელო“ სწერს: ყირიმში თეთრგვარდიელთა დამარცხება ერთხელ კიდევ ამტკიცებს მას, რომ გენერლები ვერ გადაარჩენენ რუსეთს ბოლშევიზმისაგან. ბოლშევიზმი მხოლოდ რუსეთის დემოკრატიის ძალით მოისპობა, რისთვისაც საჭიროა ერთი შეიარაღებული ფრონტის დაარსება. ამ ჟამად პოლონეთი თავს უყრის ძალებს გერმანიის საზღვრებთან. გერმანიის მთავრობამ ამის შესახებ აცნობა ლონდონს და პარიზს.

გემების დაბრუნება.

საზავო ხელშეკრულების თანახმად ფინეთმა რუსეთს უნდა დაუბრუნოს 46 გემი. ზოგიერთი გემი, რომელიც აღნიშნული იყო ხელშეკრულებაში, უგზო-უკვლოდ გაჰქრა. ფინეთის „სოც.-დემოკრატი“ სწერს: მიღებულ ცნობების თანახმად გემები კერძო მესაკუთრეებისთვის მიუყიდნიათ, რომელთაც გემების მესაკუთრეებთან არაფერი საერთო არა აქვთ.

სამხედრო ცნობა.

ბალახოვიჩთან ბრძოლის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 120 ოფიცერი, 4540 ჯარისკაცი, ხელთ ვიგდეთ ოთხი ზარბაზანი, 40 ტყვიის მფრქვეველი და სხვა სამხედრო ქონება. კომუნისტური „იაჩეიკების“ წარმომადგენელთა კრებაზე ლენინმა განმარტა იმ დეკრეტის მნიშვნელობა, რომელიც შეეხება უცხოელებზე რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავების უფლების გადაცემას. ტროცკიმ განაცხადა, რომ ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ წითელ ჯარს შრომის მიზნები გამოუჩნდება. წითელი ჯარი მუდამ მზად უნდა იყოს, რადგან ჩვენ უზრუნველყოფილნი არა ვართ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა თავდასხმისაგან. მეურნეობის გაუმჯობესებისთვის ჯარიდან გამოიყვანენ მცოდნე მუშებს შრომის ფრონტზე სამუშაოთ. ჯარი, შემცირებული რიცხვით, უნდა გაძლიერდეს თვისებით. უნდა გავაძლიეროთ პოლიტიკური მუშაობა—მაშინ ყოველთვის შევსძლებთ რევოლიუციის დაცვას.

(გაზეთებიდან)

პროფესიონალურ კავშირებში.

პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურმა საბჭომ ყველა თავის ადგილობრივ ორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარული წერილი, რომელშიაც ც—კ. აღნიშნავს პროფესიონალურ ორგანიზაციების მუშაობის ტემპის შენელებას და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ არ არსებობს კავშირი კავშირების ხელმძღვანელ ორგანოებსა და ფართო მუშათა მასის შორის.

„ასეთი მდგომარეობა, სწერია წერილში, მეტად მჭეკვნეულ გავლენას ახდენს კავშირების მუშაობის უნარსა და სიცოცხლეზე. და აქედან იბადება საქმისათვის მავნე ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი“.

რადგანაც არ მიდიან ახალი ძალები მასებიდან, ამიტომ მწვავე საგრძნობი გახდა მუშაკების ნაკლებობა. პასუხისმგებელი პროფესიონალურ კავშირების მუშაკები, სწყდებიან რა მასებს, კარგავენ მუშაობის უნარს და აღარც ესმით თავისი ორგანიზაციის საჭიროებანი; ამის შედეგია ორგანიზაციული და ზოგჯერ იდეური კავშირის შეწყვეტა“.

პროფ. კავშირის ცენტრალური საბჭო წინადადებას აძლევს ყველა პროფ. ორგანიზაციებმა მიაქციონ ყურადღება ამ მოვლენის მიზეზების შესწავლას და მასთან ბრძოლას.

ხეროვის საქმე. 24 ოქტომბერს შინაგან სამსახურის ჯარების გლავრევვოენტრიბუნალმა გაარჩია უკრაინის მემარცხენე ესერების ინტერნაციონალისტების ც. კ. კანდიდატის სეროვის (პარტიული სახელი „ვლასი“) საქმე. სეროვს ბრალდებოდა განზრახვა შეიარაღებულ გაცარცვისა ქალ. ხარკოვში მოქალაქე ევნინის ბინისა—6 სხვა ამავე პარტიის წევრთან ერთად; ეს განზრახვა პარტიამ იცოდა და ნებაც დართო იმ მიზნით, რომ გაეძლიერებიათ პარტიის მატერიალური საშუალებანი.

ამ თავდასხმის დროს ყველა მონაწილენი რევოლვერებით იყვნენ შეიარაღებულნი; მათ ყველა ბინაში მყოფი პირები რევოლვერებით დამუქრების წყალობით—ერთ ოთახში შეიყარეს, მაგრამ თვით გაცარცვა ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ ასტყდა დიდი ალიაქოთი, თავდამსხმელები შეეცადნენ გადამალვას, ამისათვის რამოდენიმეჯერ გაისროლეს და დასჭრეს შემთხვევით გამვლელი ქალი.

გლავრევოენტრიბუნალის განაჩენში ბრალდების ყველა მუხლები დამტკიცებულია... მაგრამ მიუხედავათ ამისა... სეროვი სასჯელისაგან განთავისუფლებულია, რადგანაც ის ეკუთვნის მემარცხენე ინტერნაციონალური ესერების იმ ნაწილს, რომელიც თუმცა სავსებით არა, მაგრამ მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობას და აგრეთვე იმიტომ, რომ სეროვი ძველი აქტიური რევოლიუციონერია“. („იზვ.“ № 241).

დეპეშები

(საქართ. დეპ. სააგენტო.)

ფრანგული პრესა

მახლობელ აღმოსავლეთის საკითხი.

პარასკევს ლონდონში გაიხსნა პირველი კონფერენცია მახლობელ აღმოსავლეთის საკითხების შესახებ, კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობს საფრანგეთის პრემიერი ჟორჟი ლეიგი, ინგლისის პრემიერი ლოიდ-ჯორჯი, ბერტელო და ლორდ-კერზონი. ჯერ მოხდა მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლა კონფერენციის სხდომები დაიწყება არა უადრეს კვირისა, ან ორშაბათისა, ვინაიდან ამ დროისათვის ლონდონში მოვა გრაფ სფორცა. შაბათ დილას ჟორჟ ლეიგი გვირგვინს დაადებს უცნობ ჯარის კაცთა სასაფლაოს ვესტმინისტრის საბადოში.

ვეტერანთა კონფერენცია.

კვირას დეპუტატთა პალატაში გაიხსნება სხვა და სხვა ქვეყნის ვეტერანთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველი კონფერენცია კარდინალი დიბუა დაიკავებს პარიზის არქიეპისკოპოზის ადგილს.

ლიონის ცნობები.

მისია ანგორაში.

სტამბოლიდან იუწყებიან: მოკლე დროში ანგორაში გაიგზავნება მისია იზერ ფაშის მეთაურობით ამ მისიას მიზნად აქვს ქემალისტებთან შეთანხმება. იციან რა, რომ ქემალისტები დათმობაზე არ წავლენ, საქმესთან კარგა გაცნობილი წრეებში ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში საქმე შეეხება მხოლოდ მთავრობის რონირებას დროს მოგების მიზნით, რათა ისარგებლონ იმ ამბებით, რომლითაც შეიძლება ექნეს ადგილი. ოსმალეთის ხაზინის მდგომარეობა მერყეველია. მოხელეებს ჯერ ოქტომბრის ჯამაგირიც კი არ მიუღიათ მთავრობა ითხოვს თანხმობას რომში, მყოფთ ელჩ ნაიბ ბეის პარიზში რიფაატ-ფაშის ლონდონში და მუსტაფა რეშილ-ფაშის რომში დანიშვნაზე.

ლაოლვილები ყირიმიდან.

იუწყებიან: კონსტანტინოპოლში ჩასულ ყირიმიდან გამოქცეულთ ლემონსისა და გალიპოლში აგზავნიან. იმედია, რომ მიღებულ ზომების წყალობით სხვა და სხვა გადამდები სნეულების გავრცელებას თავიდან აიცდენენ.

ცეცხლი.

ფრანგული პრესა იუწყება: ლივერპულისა და ბ. ნავთსაშენებში ერთსა და იმავე დროს 18 ადგილს გაჩნდა ცეცხლი.

გერმანული ცნობები

სანოვაგის შესაძენად.

რეიხსტაგი ფიქრობს, რომ მთავრობა ხარჯებისათვის მოითხოვს კიდევ 10.000 მილიონ მარკამდე. ამ ფულით უმთავრესად საზღვარგარეთ შეიძენენ სურსათ-სანოვაგეს და გასანოყიერებელ მასალას.

24.000 მილ. ზარალი.

პრუსიის სამეურნეო საბჭომ მთავრობისადმი წარდგენილ ნოტაში განაცხადა, რომ გერმანიის ნაციონალური სიმდიდრის საერთო ზარალი მეწველი ძროხების მოკავშირეებისადმი გადაცემის გამო დაახლოვებით 24.000 მილიონ მარკას უდრიხო.

ბავარიის საკითხი.

პარიზში მყოფი გერმანიის ელჩი ბერლინს მივიდა, ის მონაწილეობას მიიღებს ამ კონფერენციაზე, რომელსაც დაესწრება ბავარიის პრემიერი ფონ-კარი, საფრანგეთისა ბრიტანეთის ელჩი და გენ. ნოლდე; ამ კონფერენციაზე განიხილავენ ბავარიის სამოქალაქო გვარდიის საკითხს.

დორპატის ხელშეკრულება.

ფინეთის პალატის უმეტესობასა და მთავრობის შორის მომხდარ შეთანხმების წყალობით შესაძლებელი შეიქმნა სამინისტროს კრიზისის აცდენა. დორპატის ხელშეკრულებას ხმა მისცა პალატის უმეტესობამ. მიუხედავათ იმისა, რომ ყველა ორატორმა მას მკაცრი კრიტიკა გაუკეთა.

არჩევნები სამხრეთ-სლავიაში.

სამხრეთ-სლავიაში არჩევნები სრულის წესრიგით გატარდა. ბელგრადში არჩევნების შედეგი შემდეგია: მიიღეს რადიკალებმა 4.305 ხმა, დემოკრატებმა 3.125, კომუნისტებმა 4.050, მოხელეებმა 313, რესპუბლიკანელებმა 452 ხმა. „ტან“-ის მიერ მიღებული ცნობებით არჩევნებში არის რადიკალთა პარტიის მეთაური ბაშიჩი, დემოკრატიის პარტიის მეთაური დავიდოვიჩი და კომუნისტების—დრ მარკოვიჩი.

მესამე ინტერნაციონალის გარშემო.

სტრასბურგში სოციალისტთა სექციამ ხმა მისცა მოსკოვის მესამე ინტერნაციონალთან შეერთების საკითხს.

პლებისციტის საკითხი.

მცირე რიცხვოვან სოციალისტურ პარტიაში პლებისციტის საკითხის გამო განხეთქილება მოხდა. სოციალისტთა დეპუტატმა სიდერასმა განაცხადა ხმა უნდა მივცეთ კონსტანტინეს დაბრუნების წინააღმდეგო. რიზოპოსტის აზრით მუშებმა თავი უნდა შეიკავონ და ხმა არაუის არ უნდა მისცენ.

სომხეთი

ახალი მთავრობის დეკლარაცია.

სომხეთის დიპლომატიური მისიის ცნობით ახალი მთავრობის წარმომადგენელ ვრაციანის მიერ პარლამენტში წაკითხულ დეკლარაციაში აღნიშნულია სომხეთის შინაგანი მძიმე მდგომარეობა, რომელიც კიდევ უფრო გართულდა მტრის შემოსევის გამო. ახალი მთავრობის უმთავრეს მიზანს შეადგენს ქვეყნის გადარჩენა ამ პოლიტიკური ქარტეხილის ჟამს და შეჭოსეულ მტერთა მოგერება. მთავრობა ეყრდნობა სომხეთის დემოკრატიის რეალურ ძალებსა და მეზობელ სახელმწიფოებთან დამყარებულ სოლიდარობასა და არა უცხო ზედგავლენას. ჩვენი ლოზუნგია—ოსმალეთთან ომის დადება და მეზობელ ერებთან სოლიდარობის დამყარება. ამასთანავე მთავრობა ვრძობს, რომ სამწუხაროთ თანამედროვე პირობებში ძალა აღემატება სამართლიანობას და ამიტომ საჭიროებასა და აუცილებლობას წარმოადგენს ძლიერი ჯარის შექმნა. მთავრობამ უნდა შექმნას ძლიერი სახალხო ჯარი.

შინაურ ცხოვრების მოწყობის დროს უნდა ვხელმძღვანელობდეთ შემდეგი პრინციპით:

„მთელი ძალა უფლება მშრომელ ხალხს“. მთავრობა ცხოვრებაში გაატარებს ერთა თანასწორ უფლებიანობის პრინციპს. უნდა გავუმჯობესოთ ადმინისტრაცია და სასამართლო. უნდა ვებრძოლოთ ფინანსიურ კრიზისს. სამსახურის დროს ჩადენილი დანაშაული სასტიკათ უნდა ისჯებოდეს. უმთავრეს საზრუნავ საგანს წარმოადგენს აგრეთვე მრავალი ათასი ლტოლვილის გაჭირვებულ მდგომარეობის გაუმჯობესობა და სასურსათო კრიზისთან ბრძოლა. ჩვენი სურვილია—ვიხილოთ დამშვიდებული ქვეყანა, რათა ამგვარად მან მიაღწიოს კეთილდღეობასა და აყვავებას.

ოსმალეთის და სომხეთის ზავის პირობები.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ინგლისის მთავრობამ შემდეგი საზავო პირობები წარუდგინა სომხეთს:

1) სრული პლებისციტი ყოველ სადაო საკითხში, საბჭოთა რუსეთისა და ვილსონის 14 მუხლის პრინციპზე დამყარებული. პლებისციტის დაურღვევლობისათვის დაარსდეს შერეული კომისია ორივე მხარესაგან.

2) თავისუფალი ტრანზიტი სომხეთით ოსმალეთში გასატან საქონლისა და მატარებლის და უკანვე.

3) ოსმალეთი ვალდებულია პირველ საჭიროების საქონლის მიწოდებით აღადგინოს სომხეთის ეკონომიური ცხოვრება.

4) ოსმალეთი ვალდებულია დააბრუნოს თავის ძველ საცხოვრებელ მიწებზე ომის დროს გადასახლებული სომხები თუ უკანასკნელთ ამის სურვილი ექნებათ.

5) სომხეთმა სრული გარანტია უნდა მისცეს ოსმალეთს, რომ უკანასკნელი მომავალში უზრუნველყოფილი იქნება ყოველგვარ თავდასხმისაგან.

6) დროებითი ზავის პირობები, რომელიც უნდა სრულდებოდეს საბოლოო ზავის შეკვრამდე, უნდა ეცნობოს ოსმალთა ძალების უმაღლეს სარდლობას აღმოსავლეთის ფრონტზე და აგრეთვე სომხეთის ჯარების სარდლობასაც.

ეს პირობები ჩაბარდა სომხეთის საზავო დელეგაციას გუმბრში.

(„გ“)

საქართველოს შესახებ.

ჟურნალ „დე-დება“ სწერს: მეორე ინტერნაციონალის დელეგაციას საქართველოში ბრწყინვალედ შეხვდენ. მოხუცები, ბავშვები, ქალები, მუშების გამოჩენილ წარმომადგენელნი და მთელი ხალხი ევროპის პროლეტარიატის წარმომადგენლებს ხვდებოდენ პურმარილით, ღვინითა და სხვ. საქართველოსათვის მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია წარმოადგენს დასავლეთის დელეგაციას, რომლის დახმარებაც ნიშნავს ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის ხელის შეწყობას და ხალხის დაცვას ოსმალებისა, მოსკოვისა და მეფის გენერლებისაგან. საქართველომ ბევრი ტანჯვა გამოიარა, სანამ იგი თავის ახალგაზრდა სახელმწიფოებრივობას განამტკიცებდა. ამ ჟამად საქართველო დამოუკიდებელია და სავსებით დემოკრატიული ქვეყანაა. ყველა რეფორმა და კანონი ტარდება შესანიშნავი პოლიტიკური ტაქტიკა და გამოცდილებით. სახელმწიფოში არსებობს სამი პოლიტიკური პარტია, რომელნიც უმთავრეს ფაქტორში—საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობის ცნობაში ერთი შეხედულების არიან და ერთმანეთს უთანხმდებიან. ყველა პარტიის წარმომადგენელნი დელეგაციასთან საუბრის დროს ერთ უმთავრეს აზრს გამოსახავდა. ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობისადმი პატივის ცემის გრძნობა.

კრესა.

გაზ. „ერთობის“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია წერილი ლონდონიდან ვ. ნოზაძისა; ავტორი ეხება იმ შეხვედრას, რომელიც ევროპის სოც. დელეგაციამ გამოიტანა საქართველოში მოგზაურობის შემდეგ; აღნიშნავს რა იმ ფართო ავიტაციას, რომელსაც საქართველოდან დაბრუნებული სოციალისტები აწარმოებენ დღეს ევროპაში ჩვენ სასარგებლოდ სხვათა შორის სწერს:

ინგლისელი სოციალისტები—ამბობენ: საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი ჩვენი საკითხი არის; ჩვენ უნდა მოვითხოვოთ საქართველოს იურიდიულათ ცნობა და ვიმუშაოთ ამ მიმართულებითო. და მართლაც მუშაობენ ისინი ამ მიმართულებით და ევგენ გეგეჭკორს, რომელიც ამ ჟამად ლონდონში იმყოფება, დიდ დახმარებას უწევენ. მეორე მხრივ, ბელგიელი სოციალისტებიც აღფრთოვანებულნი არიან საქართველოს რესპ.; არ ჩამორჩენ ისინი ინგლისელ სოციალისტებს და როგორც ნამდვილი წყაროდან ვიცით, ისინიც ფართო მუშაობას ეწევიან. ვანდერველდე და ჰუსმანსი არ კმაყოფილდებიან მით, რომ საქართველოს შესახებ ჰოლანდიურ და ბელგიის გაზეთებში წერილებს ათავსებენ. ამას გარდა, ისინი დადიან ბელგიის სხვადასხვა პროვინციებში და საქართველოს შესახებ მოხსენებებს კითხულობენ. როგორც გადმოგვცემენ, მათ უკვე ჰქონიათ მოლაპარაკება ბელგიის მთავრობასთან საქართველოს იურიდიულათ ცნობის შესახებ.

ფრანგი სოციალისტებიც ასეთივე აზრისანი არიან საქართველოს შესახებ. დღევანდელ გაზეთში (29 ოქტომბერი) მოთავსებულია შემდეგი ამბავი. „სოციალისტური ცხოვრების“ ჯგუფმა განიხილა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. ბ-ნ რენოდელის წინადადებით გადაწყდა: მიღებულ იქნას ყოველი ზომა საქართველოს დასაცავად. როგორც ბალშევიკების, ისე ოსმალო ნაციონალისტებისაგან. ამასთანავე აღძრულ იქნას შუამდგომლობა ანტანტის წინაშე საქართველოს „იურიდიულათ ცნობის შესახებ“.

ასეთი არის, მოკლეთ, საბივე ქვეყნის სოციალისტების დამოკიდებულება საქართველოსადმი.

ხალხი, რომელიც სავსებით არ იცნობდა საქართველოს, რომელსაც მხოლოდ „რაღაც“ გაეგონა საქართველოს შესახებ, დღეს თავგამოდებით იცავს მას, ლაპარაკობს მის შესახებ და ცდილობს სხვებსაც გააცნოს იგი.

საქართველოში სოციალისტების ჩასვლას ჩვენ პირადათ დიდ მნიშვნელობას ვაძლევდით, მაგრამ თუ ეს ჩასვლა ასეთ უდიდეს ნაყოფს გამოიღებდა, ეს მაინც საეჭვოდ გვეგონა. ვერავითარი სხვა ორგანიზაცია ვერ მოუწყობდა საქართველოს იმ პროპაგანდას, რომელიც დღეს სოციალისტების მეოხებით სწარმოებს.

საქართველომ, მისმა ხალხმა, მისმა კულტურამ, რომელიც მათ ნახეს საქართველოში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე; მაგრამ ამასთანავე მათ ნახეს ჩვენი სილარიბეც. მართალი არის მათი საყვედური ამის გამო. და მართალი არის მათი შენიშვნაც იმის შესახებ, რომ ჩვენ რვა საათის მაგივრათ თექვსმეტი საათი უნდა ვიმუშაოთ, რათა ეს წარმტაცი ქვეყანა და ხალხი დიდებულ მომავალს დაუახლოვდეს. ამ შენიშვნას ანგარიში უნდა გაუწიოს თვითეულმა მოქალაქემ, მთელმა საქართველომ“.

იგივე ავტორი სანამ ევროპის სოც. დელეგაცია გაეცნობოდა საქართველოს, სწერდა, რომ ინგლისმა გარდა იმისა, რომ „საქართველოში ლამაზი ხალხია“ სხვა არაფერი იცის საქართველოს ყოფა ცხოვრების შესახებო. ეხლა კი, ევროპის საზოგადოებრივი აზრი შეიცვალა საქართველოს შესახებ; ჩვენი მთავრობის მოღვაწეობამ საზღვარ გარეთ ჩვენი გარეშე პოლიტიკის განსამტკიცებლად ჯეროვანი ნაყოფი გამოიღო—საქართველოს დემოკრატია საბოლოოდ უმეგობრდება ევროპის დემოკრატიას, და რაც უფრო ძლიერი და მჭიდრო იქნება ამ დემოკრატიის შორის კავშირი მით უფრო იმედიანის თვალით შეგვიძლია უყურეთ ჩვენი რესპუბლიკის პერსპექტივებს.

ახალი ამბები

საქართველოს ელჩი ადერბეიჯანში. ყოფილი დიპლომატიური წარმომადგენელი რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან გ. ი. ხუნდაძე ნოემბრის 13, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაინიშნა საქართველოს სრულ უფლებიან წარმომადგენლად ადერბეიჯანის საბჭოთა მთავრობასთან. ადერბეიჯანის მთავრობა დასთანხმდა ხუნდაძის ელჩად მიღებაზე. გ. ი. ხუნდაძე ამ დღეებში თავისი თანამშრომლებით გაემგზავრება ბაქოში.

გაძევება. შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან გაძევებული ბ-ნი ლანდაუ, შეცდომით მოხვდა სპეკულიანტების სიაში. ბ-ნი ლანდაუ გაძევებულია საქართველოს საზღვრებიდან პოლიტიკური მოსაზრებით.

ქალაქის საბჭოში. 29 ნოემბერს, ალ. მდივანის თავმჯდომარეობით მოხდა ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. განიხილეს საბჭოს საგანგებო საგამომძიებლო კომისიის მოხსენება ცუდი პურის გამოცხობის მიზეზთა შესახებ. სასურსათო განყოფილების გამგის კ. ფანიევის განმარტება დამაკმაყოფილებლად იცნეს. შემდეგ განიხილეს იურიდიულ კომისიის მოხსენება ქათოლიკურ ეკლესიის სამზრუნველოს საჩივარზე, რომელიც სკოლის ჩამორთმევას შეეხებოდა. ამ საკითხის გადაწყვეტა მომავალ სხდომაზე გადაიდო.

საანკეტო ფურცლები. შრომის სამინისტრომ რესპუბლიკის უდიდეს საწარმოო დაწესებულებათ დაუგზავნა საანკეტო ფურცლები 1913 წ. 1920 წლამდე მუშათა შრომის ნაყოფიერების ღირსების გამოსარკვევად. ანკეტამ უნდა გამოარკვიოს: 1) წარმოებაში მუშათა შემადგენლობა; 2) სამუშაო დროის ხანგრძლიობა; 3) შრომისათვის ჯილდოს მიცემა და საწარმოო დაწესებულების მიერ გამოშვებულ საქონლის რაოდენობა. შრომის სამინისტრო აღნიშნავს, რომ მრეწველობის მდგომარეობის გამორკვევა სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენსო და ამიტომ იგი სთხოვს წარმოებათა გამგეებს განსაკუთრებული ყურადღებითა და გულმოდგინებით შეავსონ ბლანკები. შრომის სამინისტრო მოითხოვს ბლანკები დაუბრუნონ მას არა უგვიანეს დეკემბრის 10.

რკინის გზის გაყვანა. ერობათა კავშირის კომიტეტმა გადასწყვიტა მიიღოს ზომები ყარაიაზში ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გასაყვანად და რკ. გზის ჩიხის მოსაწყობად. ამის გამო კავშირის კომიტეტმა მოლაპარაკება გამართა სამხედრო და გზათა მინისტრებთან. ფიქრობენ ყარაიაზში საგანგებო კომისიის გაგზავნას ამ საკითხის ადგილობრივ გამოსარკვევად.

მცხოვრებთა აღწერა. ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტიდან იუწყებიან, რომ უკვე დამთავრებულია გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა საარჩევნო და გენერალურ აღწერისა. საარჩევნო აღწერა მოხდება რესპუბლიკის ყველა ქალაქში: მისი მიზანი იქნება ქალაქის თვითმართველობის და პარლამენტის ამომრჩეველთა და აგრეთვე ნაფიც მსაჯულთა სიების შედგენა. მთავარი აღწერა მოხდება ყველგან; იგი სხვათა შორის შეეხება მუშათა პროლეტარიზაციას, მათ შეკავშირებას და პარტიულ შემადგენლობას. აღწერა მოხდება იანვარში.

კანონთა გადამსინჯავ კომისიის სხდომა. დღეს დეკემბრის 1-ლ შესდგება კანონთა გადამსინჯავ კომისიის პლენალური სხდომა. რომელზედაც განხილული იქნება კომისიის სისხლის სამართლის განყოფილების მიერ შემუშავებული შემდეგი კანონ-პროექტები: 1) ომიანობის დროის სასამართლოს შესახებ; 2) 1919 წლ. იანვრის 17, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებაში ზოგიერთ ცვლილების შეტანის შესახებ და 3) მოსამსახურეთა მიერ სამსახურის დროს ჩადენილ ზოგიერთ დანაშაულთათვის პასუხისმგებლობის გადიდების შესახებ.

დამფუძნებელი კრება

30 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ხ. მდივანი.**

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექტი დეკრეტისა—საქართველოს სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ხ. ჯაფარიძის მუხლობრივი განხილვის შემდეგ მცირედი შესწორებებით მიღებულ იქნა კანონი—მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ.

მოწოდება.

საკუთარის ძალითა და ღონით დღემდე გზას იკვლევდა, თითქმის ყველასაგან მიტოვებული ქართველი სტუდენტი. სამიწლის განმავლობაში დამხმარე არავინა ჰყავდა, მცირე გამონაკლისის გარდა, საკუთარი მარჯვენისა და ინიციატივის მეტი. მშობლებისაგან დახმარებას ხომ თითქმის ყველა მოკლებულია. ამ ხნის განმავლობაში, მან შესძლო მოწყობა თავისსავე დასახმარებლად ორიოდე ეკონომიურ-კულტურული ორგანიზაციისა, რომელთა საშუალებით ასობით სტუდენტს მ ი რე შეღავათი ეძლეოდა. ასეთი არის სტუდენტთა სასადილო, საერთო ბინები, კოოპერატივი, გამომცემლობა და სხვა.

დღეს თვით ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური ძალა და სიმტკიცე შერყეულია. განსაკუთრებით ამას ქართველი სტუდენტი გრძნობს. გრძნობს ის სულით და მთელის არსებით სამშობლოს გასაჭირს და გრძნობს პირადათ, მატერიალურად. ამას ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ: სახელმწიფოებრივმა, საზოგადოებრივმა და კერძო ორგანიზაციებმა.

საერთოდ, სტუდენტობასთან ერთად მისი ორგანიზაციებიც სახელმწიფოსა და საზოგადოების ფართო დახმარებას საჭიროებენ... კერძოთ, სტუდენტთა სასადილო დღეს უკიდურეს გაჭირვებას განიცდის ყოველგვარ სურსათ-სანოვაგესა და მუშა ხელზე ფასების ზღაპრულად გადიდების გამო. იგი იძულებული ხდება ყველაფერი, წვითა და დაგვით შეძენილი, ან დააგირავოს ისე, რომ შემდეგ ვერ დაიხსნას და ისევ გამვლელსა და გამომვლელს ხელი გაუწოდოს, ან ნაწილიქონე ბისა გაყიდოს, რომ სტუდენტობას შედარებით იაფი საღი საზრდო მიაწოდოს. მაგალითად: მიუხედავათ იმისა, რომ არც ერთ ქალაქისა თუ სხვა დაწესებულების იაფ ფასიან სასადილოებში, რომელიც ბაზარზე იძენს სანოვაგეს, ისე იაფი არ არის სადილი, როგორც სტუდენტთა სასადილოში, ფასების აწევა მას არ შეუძლია. რადგან ღარიბი სტუდენტი ფას-აწეული სადილებით ვერ ისარგებლებს. ამიტომ სასადილო განიცდის თითქმის ყოველ თვეში დეფიციტს.

ყოველივე ამის გამო მოუწოდებთ ყველას, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენი ქვეყნის განათლებისა და განვითარებისათვის, რომლის შემსრულებელი ქართველი სტუდენტობაა; ყველას, ვისაც სამშობლო უყვარს, რომლის დამცველი გონებით, საქმით და ხმირათ იარაღითაც კი ქართველი სტუდენტია; ყველას ვისაც ჩვენი მდგომარეობა განუცდია, მაგრამ ასე მწვავეთ კი არა და დღეს უზრუნველყოფილია; ვისაც აქვს სურვილი და მისწრაფება გაჭირვებაში მყოფ მოძმის დახმარებისა და შეძლებაც აქვს; და დასასრულ ჩვენი ქვეყნის უმტკიცეს ბეჭეს ქალაქისა და სოფლის დემოკრატიას, რომლის შვილია ქართველი სტუდენტი, დაეხმაროს სტუდენობას, რითაც შეიძლება, რომ მან შისძლოს თავისი დანიშნულების ღირსეულად შესრულება სამშობლოს საკეთილდღეოთ.

დახმარება მიიღება სტუდენტთა სასადილოში (სოლოლაკის ქ. № 2).

სახელმწიფო უნივერსიტეტში (სტუდენტთა გამგეობაში 6—8 საათამდე).

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის **მთავარი გამგეობა.**

გზათა დეპარტამენტში

გზათა დეპარტამენტის საბჭოში შეიტანეს პროექტი იმის შესახებ, რომ ენერგიებზე, რომელსაც ღებულობენ რკინის გზის დაწესებულებანი, მოსამსახურენი და კერძო აბონენტები ტფილისისა და ჭიათურის ელექტრონულ სადგურებიდან, გაეერთიანონ გადასახადის ნორმები. ნორმების შეცვლის აუცილებლობას ასაბუთებენ მით, რომ თანდა თან იზრდება მასალისა და მუშებისათვის მისაცემი ხელფასის რაოდენობა. მოხსენებაში აღნიშნულია თუ რა გადასახადი უნდა დაედოს საათში ერთ კილოვატ ენერგიას; ტფილისში ეს ფასი რკინის გზ. მოსამსახურეთათვის ელირება 25 მან. კერძო პირთათვის 34 მან.; ჭიათურაში მოსამსახურეთათვის 70 მ., კერძო პირთათვის 98 მ. გზათა დეპარტამენტში შეტანილია პროექტი სადგურ ფოთის ჩიხის გაგრძელების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მომარაგების სამინისტრომ შავი ქვის ექსპორტის გაძლიერების გამო წინადადება შემოიტანა გაგრძელონ სად. ფოთის ჩიხი. რკინის გზის მმართველობის კომერციული ნაწილს არავითარი საწინააღმდეგო რამ არააქვს ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა.

პროფესიონალურ კავშირებში

პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატში.

ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირმა შუამდგომლობა აღძრა სეკრეტარიატის წინაშე, რათა ხორბლის და ფქვილის მეთვალყურე აგენტებს, რომლებიც დატუსაღებულ იქმნენ თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს ბორტ-მოქმედებისათვის, წარედგინოთ რაიმე განსაზღვრული ბრალდება; ხოლო იმ აგენტებს, რომლებიც ბრალდების წარუდგენლათ დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან, მიეცეს სალიკვიდაციო დახმარე-

ბა. თვით შუამდგომლობას ისინი ასაბუთებენ იმით, რომ თანახმად კავშირის გამოძიებისა, ხსენებული აგენტები არ არიან დამნაშავენი ცუდი ხარისხის პურის გამოცხობაში. ანალოგიური შუამდგომლობა აღძრა სეკრეტარიატის წინაშე ფქვილის დაფქვაზე. ტეხნიკურ ზედამხედველობის კომიტეტმა ამ საქმის გამოძიება მიანდო 3 კაცისაგან შემდგარ სპეციალურ კომისიას, რომელმაც თავისი გამოძიების შედეგი უნდა წარუდგინოს სეკრეტარიატს ხუთშაბათს მომავალ სხდომაზე.

რესპუბლიკის დაცვის კომიტეტში სეკრეტარიატმა თავის წარმომადგენლად გაგზავნა ამხ. ბერეჟიანი.

დამფუძნებელ კრების შრომის კომისიაში, კვირას, 28 ნოემბერს, განხილულ იქმნა მოხსენება შრომის სამინისტროს მოქმედებისა ამ ჟამად და მისი მომავალ მოქმედების გეგმის შესახებ. ამ საკითხზე დასასწრებლათ სეკრეტარიატმა თავის წარმომადგენლად დანიშნა ამხ. ჩხენკელი.

ამის შემდეგ სეკრეტარიატმა მოისმინა ამხ. ზარეცკაიას მოხსენება პროფ. კავშირების მუშაობის და იმ წესების შესახებ, რომელიც უნდა არსებობდეს ხსენებულ კავშ. მომავალში. სეკრეტარიატმა ეს საკითხი გადასცა განსახილველათ სეკრეტარიატისა და აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმებს, რომელიც შემდეგ წარუდგენს აღმასრულებელ კომიტეტისა და სეკრეტარიატის შეერთებულ სხდომას.

საავადმყოფო კასაში.

28 ნოემბერს შესდგა ტფილისის საერთო საქალაქო ფასის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი კრება. მოსმენილ იქნა მოხსენება იმის შესახებ რომ გამგეობას განზრახვა აქვს გახსნას ამბულატორია კასის მონაწილეთა ოჯახის წევრთათვის და იმ მუშებისათვის რომლებიც წარმოებიდან არ ღებულობენ საექიმო დახმარებას. რწმუნებულთა კრებამ მოიწონა მოხსენება და დაამტკიცა გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა. ამბულატორიის მოსაწყობათ გადიდო 100,000 მანეთი მის შესანახათ თვიური ხარჯთ-აღრიცხვა გამოანგარიშებულია 200000 მანეთი.

ამის შემდეგ განხილულ და დამტკიცებულ იქნა გამგეობის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია შინაურ კომიტეტებისათვის. ამ ინსტრუქციით შინაურ კომიტეტებს ევალებათ თვალყური ადევნონ, რომ სწორათ იყოს ნაჩვენები წარმოებების მუშათა რიცხვი, სამუშაო ქირის რაოდენობა და რომ მუშებისაგან საპროცენტო გამოკლება და მეპატრონეთა გადასახადი თავის დროზე შედიოდეს საავადმყოფო კასაში და სხვა.

საქართველოს საავადმყოფო კასათა კონფერენციაზე, რომელიც უნდა შესდგეს 4—5 დეკემბერს, ტფილისის საქალაქო საავადმყოფო კასის წარმომადგენლათ არჩეულ იქნენ: დერკოვსკაია, ლევინოვი, იაშვილი, ხელაძე, მაქსიმოვისა, შანიძე და მემარნიშვილი. კანდიდატებათ: დოლიძე, ბოგდანოვი და ეშეშოვი.

განცხადებანი

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დავით ადამის ძე დოდაშვილის სახელზე, დამტკიცებუ- ტფ. უფროსს ნოტარიუსის მიერ 1890 წლ. რეესტრით № 818, გაუქმებულად ჩაითვალოს. 39593—2

დაიკარგა მატრიკული № 999. მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ვერა სპირიდონის ასულის დვალის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3922 3—3

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა მიღებული ტფ. სინოდალურ კონტორიდან ალექსანდრე ნესტორის ძე ცხადაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3919 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან მარტიროს ხაჩატურის ძე პატალიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3910 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი რეუტოვის ქ. № 15, 17 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ქალაქის გამგეობას. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3913 3—3

დაიკარგა პასპორტი № 597, სარა ტერაგას ასული ამბარცუმოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3955 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ბათომის მილიციის სამმართველოდან არუთინ სარკისის ძე საიაკიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3940 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი შედგენილი ნოტარიუს ქართველიშვილთან ისრაილ ადუშის ძე ნაზაროვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3932 3—3

სამხედრო სასამართლო, თანახმად 1920 წ. 6 ნოემბრის გაბწესრიგებელ სხდომის დადგენილებისა ეძებს საარტილერიო ბრიგადის სამმართველოს ყოფილ საქმის მწარმოებელი პავლე პავლეს ძე გორდეზიანის, რომელიც მიცემულია სამართალში ბოროტ-მოქმედებისათვის, გათვალისწინებული 13 მუხ. ს. დ. და მე-3-მე ნაწ. 232 მუხ. XXII წ. ს. დ. კ. 1869 წ. გამ. 4.

ყველა ვინც იცის თუ სად იმყოფება აღნიშნული გორდეზიანი ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს მისი ვინაობა სამხედრო სასამართლო ნოთავსებულია სასამართლოს ქუჩაზე № 32. 993 3—3

დაიკარგა ჯუმათის ორ კლასიანი სკოლის ბეჭედი და შტემპელი. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3938 3—3

დაიკარგა ორმოცდაათი ფუთის ფქვილის ნებართვა მიღებული მე-11 კომისარიატიდან ქეთევან სოლომონის ასული კობალაძის სახელზ, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3929 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან გიორგი ანდრიას ძე მაღრაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3933 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ქ. ბაქოს პოლიცმეისტრის სამმართველოდან გენრიეტა მარია ზენდერის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3936 3—3

დაიკარგა პასპორტი № 507. მიღებული ნაკობაიაზეთის ქალაქის გამგეობიდან ხაჩატურ კარაპეტის ძე შინაკან-კარონიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3924 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ჩინგილის შესახვევში № 4 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის კოლა გლახას ძე ძამოევს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3925 3—3

დაიკარგა მოწმობა № 14329 მიღებული ტფილისის საქციზო სამმართველოდან. შავაშ ავეტისის ძე აკოფოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3935 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 301 და გვარდიელის წიგნაკი მიღებული სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადის მე-6 საგაუბიციო ბატარეის კანცელარიიდან ლევ ფეოდორის ძე გროსის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3941 3—3

დაიკარგა ბინის დავთარი ყვირილის ქ. № 16 მდებარე სახლის რომელიც ეკუთვნის აკოფოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3907 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან და სხვა და სხვა საბუთები მარიამ სარქისის ასულის მარტიროსიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3908 3—3

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა მიღებული ტფილისის ოლქის სასამართლოდან ალექსანდრე ივანეს ძე სოლონინის სახელზე. გაუქმეაულად ჩაითვალოს. 3909 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ახალციხის კომისრისაგან სარა იოსვალის ასული კურწაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს 3906 3—3

დაიკარგა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების წიგნაკი № 10499 შალვა ალექსანდრეს ძე ქარუმიძის სახლზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3904 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან ამო ფირო ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3918 3—3

დაიკარგა უვადო საოჯახო პასპორტი მიღებული ქ. ბაქოს პოლიცმეისტრის სამმართველოდან სოფიო ვასილის ასული ბენკენდორფის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3937 3—3

დაიკარგა სამხედრო ნუსხა, მიღებული ოზურგეთის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გამწვევისა № 233/2923 და წლის პასპორტი № 254, მიღებული ჩობათის თემის გაგგეობიდან გერასიმე მაქსიმელის ძე იმნაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3920 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 84 მიღებული მე-7 კომისარიატიდან პეტროს კარაპეტის ძე გორგაზიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3931 3—2

მეჯვრისხევის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, იწვევს გარდაცვალებულის ნიკოლოზ და ალექსანდრე გარსევანის ძე ქარუმიძეების მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლებები გარდაცვალებულების ქონებაზე, სამოქ. კან. კრებ. მე-10 ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3654 1—1

ქ. ტფილისის მე-17 სამომრიგებლო უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ დიმიტრი იორდანეს ძე კოჭლაშაზაშვილის ქონებაზე, რათა მათ აღიარონ თავისი უფლებები სამოქ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3981 1—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად პავლე სტეფანეს ძე თევდორაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს კეთილ-საიმედო პიროვნების მოწმობა, მიცემული მეორე წყალ გაღმა უბნის კომისრისაგან, სთხოვს მპოვნელებს წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 3978 3—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად ვალერიანე ლუკას ძე რუხაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი მიცემული ამავე სამმართველოდან და სამსახურის ნუსხა, მიცემული ქუთაისის პირველი პოლკიდან № 1024, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. 3978 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან; 6000 მ. კვიტანცია, მიღებული მუშათა მაგიდიდან; სასახლისათვის ორი ათასი აგურის საფასურის 36.000 მან. ანგარიში; ხელწერილი შეშის მოტანის შესახებ მოცემული კონს. სოლ. მელიქაძისაგან და ექსპედიციის ახალ შენობის მწარმოებელთაგან მიღებული აგურის საფასურათ 63.960 მ. მისაღებად მამედ გუსეინოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3966 3—1

დაიკარგა სათადარიგო ბილეთი № 1497, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელი ბილეთი ეზეკია კახაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3967 3—1

დაიკარგა პასპორტი № 7426 ელისაბედ ჩახანაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3979 3—1

დაიკარგა სამსახურის ნუსხა № 3 გრიგოლ ნიკოლოზის ძე კონოვალოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3382 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ვარვარა მარტინის ასული გონდაგსაზოვის სახელზე, მიღებული ბათომში, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3973 3—1

დაიკარგა განათლების მოწმობა № 15 იოსებ ნანაძის სახელზე, მიღებული ს. დაფნარის სამასწავლებლო სასწავლებლიდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს, 3978 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დომლაურის ამხანაგობის სახელზე ს. ქვენატკოცაში მდებარე მამულის, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3980 3—1

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა, კაპიტონ ბესარიონის ძე როგავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3968 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 94, ლუკიანე მალონჩის ძე თაბუკაშვილის სახელზე, მიღებული ხარაგულის საზოგადოებიდან. 1915 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3969 3—1

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრე იოსების ძე გერბასმანის სახელზე, მიღებული ბათომის ქალაქის მილიციიდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3970 3—1

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა სტ. ილია კობიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3960 3—1

დაიკარგა პასპორტი № 16962 აშრაფ-მამედ ალი ოღლის სახელზე, მიღებული განჯაში, გაუქმებულად ჩაითვალოს 3961 3—1

დაიკარგა პასპორტი მართა ანტონის ასული ლამოვსკის სახელზე, გაუქმებულად. ჩაითვალოს. 3962 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი სილიბისტრო სიმონის ძე სალარაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4003 3—1

საქართველოს რკინის გზათა სამართველო

7 დეკემბერს 1920 წ. 12 საათზე

დღისით მოუწოდებს შეჯიბრებაზე მონაწილეობის მისაღებათ იმ პირთ, რომელთა სურთ აიღონ იჯარით ბუფეტები, სავაჭრო ფარდულები, და საპარიკმახეროები შემდეგ სადგურებზე:

ფოთში, შოროპანში, ჭიათურაში, რიონში, სანაინში და ქუთაისში ცხელი საჭმელების ბუფეტები, და სავაჭრო ფარდულები.

მცხეთაში, ავჭალაში, ნავთლუღში, სანდარაში, შულავერში, ჩაქვში, სადახლოში, ყარაიაზში და მოლითში-ბუფეტები ცივი საჭმელებით და სავაჭრო ფარდულები.

ხეთაში, ნავთსად. ფოთში, ქობულეთში, ნატანებში, სუფსაში, აბაშაში, ტყიბულში და ზესტაფონში ცივი საჭმელების ბუფეტები.

ჯუმათში საჯევახოში, ქსანში, სურამში და ხარაგოულში-სავაჭრო ფარდულები.

ჭიათურაში, სამტრედიაში, აბაშაში, ახალსენაკში, ფოთში და საჩხერეში საპარიკმახეროები.

განცხადებანი უნდა შემოტანილი იქმნეს პირადათ ან და გადმოგზავნილ ფოსტით. განცხადებას უნდა თან ახდეს საქვითაო ბარათი საწინდრის ფულის შემდეგი რაოდენობისა: 30.000 მან. ცხელი საჭმელების ბუფეტებზედ, 15000 მანეთი ცივი საჭმელების ბუფეტებზე და 10.000 სავაჭრო ფარდულებზედ და საპარიკმახეროებზე საწინდრის ფული უნდა შეტანილ იქმნეს სამმართველოს მთავარ სალაროში ან და ერთ-ერთ სადგურის სალაროში. იმ შემთხვევაში თუ წინადადება შეჯიბრებაზე მონაწილეობის მიმღებ ამა თუ იმ პიროვნებისა უარ-ყოფილი იქმნება საწინდრის ფული დაუბრუნდებათ მათ უკან.

დაწვრილებით ცნობებს შეჯიბრების შესახებ იძლევა ექსპლოატაციის ნაწილი 10-ს 2 საათ. დღისით, რკინის გზათა სამმართველოში სამმართველო იტოვებს უფლებას გასცეს იჯარით ბუფეტები, სავაჭრო ფარდულები და საპარიკმახეროები თავის შეხედულებისამებრ, ე. ი. არა დიდ განცხადებულ ფასშიაც.

1006 3—2

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.